განკარგულების პროექტი **ქ. ახმეტა**

2019 წ.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული სახით.

2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტი 2019 წლის რეგიონული პროექტები						დანართი “ 2
№	პროექტები	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილითანხა	მ.შ. თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	სოფელ ქვემო ალვანში მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების დაცვის მიზნით მდინარე ალაზანის კალაპოტის დაღრმავება-გასწორხაზოვნება	255000	242250	12750	01.07.2019წ. 01.10.2019წ.	
2	ალავერდის სამონასტრო კომპლექსის დაცვის მიზნით მდინარე ზ.ხოდაშნის ხევის კალაპოტის დაღრმავება-გასწორხაზოვნება	200000	190000	10000	01.07.2019წ. 01.10.2019წ.	
3	სოფელ მატანში საავტომობილო გზის დაცვის მიზნით მდინარე ილტოს კალაპოტის დაღრმავება-გასწორხაზოვნება	140000	133000	7000	01.07.2019წ. 01.10.2019წ.	
4	სოფელ მატანში გზისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის მიზნით მდინარე ალაზნის კალაპოტის რეგულირება დამცავი დამბის მოწყობით	120000	114000	6000	01.07.2019წ. 01.10.2019წ.	

5	სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა	246763	246763	0	01.06.2019წ 01.10.2019წ.	
	ჯამი					

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ქარუმაშვილი